სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

886078538506 26

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261576451

რეგისტრაციის თარიღი

06.11.2026 წ

ნოტარიუსი: ნინო შოშიაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, კოტე აფხაზის 9.(ყოფ.ლესელიძის ქ. 9)
ტელეფონი: 599531441

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ექვს ნოემბერს მე, ნინო შოშიაშვილს ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოტე აფხაზის ქ. №9, მომმართა: **ნოდარ მოდებაძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ნოდარ მოდებაძემ** (დაბ.24.08.1997წ, პირადი № 01024064509, რეგისტრირებული: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N 14ა, ბინა 8) მომმართა. მიმნდობს განემარტა, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს მინდობილობა და ამის შესახებ უნდა აცნობოს მინდობილ პირს. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავაკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მიმნდობმა წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე სანოტარო აქტს.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ექვს ნოემბერს, მე, **ნოდარ მოდებაძე**, რომელიც მოხსენიებულია როგორც „მიმნდობი“, ამ მინდობილობით **გიორგი იაკობიძეს** (დაბ.12.11.2003წ. პირადი №54501063460, რეგისტრირებული: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი წასრი, მე-5 ქუჩის I შესახვევი, N 2), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი“, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

ჩემი სახელით იმოქმედოს უძრავ ქონებასთან მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ლესელიძე №9, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.18.03.039.014.01.503 დაკავშირებით. სახელდობრ, აწარმოოს ურთიერთობა ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებასთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ნებისმიერ მერიასთან, გამგეობასთან, საკრებულოსთან და მათ სამსახურებთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებთან, სსიპ-ებთან, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, საქართველოს ნებისმიერ სამინისტროსთან და მათ დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებთან, სსიპ-ებთან,. მიიღოს ნებართვები შეიტანოს განცხადებები/ თანხმობები, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, პროექტები, აზომვითი ნახაზები, ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს ყველა საჭირო საიტზე ვებ-გვერდზე რეგისტრაცია სარგებლობა, ატვირთოს წარადგინოს დოკუმენტები ელექტრონულად, მოაწეროს ხელი ჩემ მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან. ამ მინდობილობით დაუშვებელია უფლებამოსილების გადაცემა სხვა პირებზე. მინდობილობა გაცემულია ქონების განკარგვის უფლების გარეშე.

მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაშვიდი წლის ექვსი ნოემბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია 03 (სამი) თანაბარ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნინო შოშიაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდილია: 18.00 (თვრამეტი) ლარი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლის საფუძველზე, აგრეთვე, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე სარეგისტრაციო მოსაკრებელი: 5.00 (ხუთი) ლარი, აგრეთვე დღგ.: 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე. სულ გადახდილია: 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

ნოდარ მოდებაძე _____

ნოტარიუსი ნინო შოშიაშვილი

ნ. შ.

ნინო შოშიაშვილი * NINO SHOSHIASHVILI * 01026001448 * GEORGIA